

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ნინიმა“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ. ბათუმი

2025

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ნინიმა“

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	8-17
შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია	8
შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები	8
შენიშვნა 3. საადრინცხო პოლიტიკა	8
შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები.....	12
შენიშვნა 5. ამონაგები	12
შენიშვნა 6. სხვა შემოსავლები	13
შენიშვნა 7. სხვა ზოგადი და ადმინისტრაციულ ხარჯები	13
შენიშვნა 8. ფინანსური ხარჯები	13
შენიშვნა 9. ძირითადი საშუალებები	14
შენიშვნა 10. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	15
შენიშვნა 11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15
შენიშვნა 12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	15
შენიშვნა 13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16
შენიშვნა 14. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	16
შენიშვნა 15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	16
შენიშვნა 16. დაკავშირებული მხარეთა ოპერაციები	17
შენიშვნა 17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	17

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ნინიმა“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ნინიმა“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ **2025 წლის 25 თებერვალში**.

ხელმძღვანელობის სახელით:

ნათია წულუკიძე

დირექტორი

2025 წლის 25 თებერვალი

ბათუმი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ნინიმა"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31,12,2023	31,12,2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	227019	246302
არამატერიალური აქტივები	9	92	244
სულ გრძელვადიანი აქტივები		227 110	246 547
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	10	256004	280457
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	500336	612948
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	12	209366	170247
სხვა მიმდინარე აქტივები		12752	29564
სულ მიმდინარე აქტივები		978 458	1 093 216
სულ აქტივები:		1 205 568	1 339 762
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		28824	28824
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი		581239	544338
რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი		610 063	573 162
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სასესხო ვალდებულებები	14	276870	259759
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		276 870	259 759
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	318634	506842
ვალდებულებები პერსონალის წინაშე		0	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		318 634	506 842
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1 205 568	1 339 762

ხელმძღვანელობის სახელით:

ნათია წულუკიძე
დირექტორი

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

2025 წლის 25 თებერვალი
ბათუმი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ნინიმა"

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	31,12,2023	31,12,2022
ამონაგები	5	5572839	6434217
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(5 142 458)	(5 978 137)
საწყისი ნაშტი		280 457	237 883
შემენილი ნედლეული და მასალები		(5 166 912)	(5 935 563)
საბოლოო ნაშტი		(256 004)	(280 457)
საოპერაციო მოგება		430 381	456 080
სხვა შემოსავლები	6	6105	42602
დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები		(135 765)	(133 628)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(42 373)	(47 406)
კომერციული ხარჯები		-	-
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(93 849)	(108 009)
ფინანსური ხარჯები	8	(18 925)	(21 078)
მოგება დაბეგრამდე		145 573	188 562
მოგების გადასახადი		(9 579)	(20 801)
საანგარიშო წლის მოგება		135 994	167 761

ხელმძღვანელობის სახელით:

ნათია წულუკიძე
დირექტორი

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ნინიმა"

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31.დეკ.21	28 824	493 472	522 296
გაცემული დივიდენდები		(116 895)	(116 895)
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში		167 761	167 761
კაპიტალის ზრდა/კლება			-
31.დეკ.22	28 824	544 338	573 162
გაცემული დივიდენდები		(99 093)	(99 093)
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში		135 994	135 994
კაპიტალის ზრდა/კლება			
31.დეკ.23	28 824	581 239	610 063

ხელმძღვანელობის სახელით:

ნათია წულუკიძე
დირექტორი

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ” ნინიმა ”

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	2023 წელი	2022 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	6 572 473	7 502 978
მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(6 338 448)	(7 276 707)
გადახდილი გადასახადები	(122 065)	(135 003)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	111 960	91 268
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
გაცემული დივიდენდები	(80 017)	(111 050)
მიღებული სესხები	289 521	362 738
გადახდილი სესხები	(267 556)	(265 705)
გადახდილი პროცენტები	(15 712)	(17 261)
კურსთაშორის სხვაობის გავლენა	924	(1 870)
კაპიტალის ზრდა/(შემცირება)		-
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	(72 840)	(33 148)
წმინდა ფულის ზრდა / (შემცირება)	39 120	58 120
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	170 247	112 127
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	209 366	170 247

ხელმძღვანელობის სახელით:

ნათია წულუკიძე
დირექტორი

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ნიშიმა“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში მარეგისტრირებელი ორგანოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. საწარმოს იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია საქართველო ბათუმი ა სანიძის ქ N39 საწარმოს საინდიფიკაციო კოდია **445514051**. საწარმო დაფუძნებულია ფიზიკური პირების : გურქან ჩავუშოდლუ - 25%, ასლიფინარ ჩავუშოდლუ - 25%, ნათია წულუკიძე - 50% -მიერ.

საწარმოს: ძირითადი საქმიანობაა ნავთობროდუქტებით ვაჭრობა.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითად ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობის დეკლარაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთის მიერ გაცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2023 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

(გ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა. არსებული ეკონომიკური მდგომარეობიდან სამომავლო შედეგების პროგნოზირება რთულია, მაგრამ კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

სავაჭრო მოთხოვნები

ხელმძღვანელობის სახელით:

ნათია წულუკიძე
დირექტორი

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების) მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	15%-20%
ოფისის აღჭურვილობა	15%-20%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%
სახვა ძირითადი საშუალებები	15%-20%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	15%

ხელმძღვანელობის სახელით:

ნათია წულუკიძე
დირექტორი

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 15 პროცენტი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგატარებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც საწარმოს აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ხელმძღვანელობის სახელით:

ნათია წულუკიძე
დირექტორი

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შვებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

ხელმძღვანელობის სახელით:

ნათია წულუკიძე
დირექტორი

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

საკუროს სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაცემად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა

მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების და საანგარიშო პერიოდში წარმოქმნილი შემოსავლებისა და ხარჯების თანხებზე. მიუხედავად იმისა რომ ეს შეფასებები ეყრდნობა მენეჯმენტის მხრიდან არსებული მოვლენების ცოდნას, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა საბოლოო ჯამში განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

შენიშვნა 5. ამონაგები	31.12.2023	31.12.2022
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	5572839	6434217
ჯამი	5572839	6434217

ხელმძღვანელობის სახელით:

ნათია წულუკიძე
დირექტორი

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

შენიშვნა 6. სხვა შემოსავლები	31.12.2023	31.12.2022
სხვა შემოსავალი (საშემოსავლო)	0	0
კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული შემოსავალი	5255	37198
სხვა შემოსავალი	850	5404
ჯამი	6105	42602

შენიშვნა 7. სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	31.12.2023	31.12.2022
ბანკის საკომისიო	29399	20799
საკანცელარიო ხარჯი	906	1602
კომუნიკაციის ხარჯები	3403	4040
კომუნალური ხარჯი	11796	13795
საბუღალტრო მომსახურება	12000	10800
სოციალური დანარიცხები	2855	2737
საკონსულტაციო ხარჯი	6432	0
საიჯარო ქირა	15000	15000
სხვა საგადასახადო ხარჯი	0	0
ძირითად საშუალებების საექსპლუატაციო ხარჯები	62	5487
დაზღვევა	5649	3931
საოფისე ხარჯი	343	1029
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	0	106
სხვადასხვა წვრილმანი ხარჯები	6003	28681
ჯამი	93849	108009

შენიშვნა 8. ფინანსური ხარჯები	31.12.2023	31.12.2022
საპროცენტო ხარჯები	15712	17261
საპატრულო ჯარიმა	420	0
უარყოფითი საკურსო სხვაობის ხარჯი	2794	3818
ჯამი	18925	21078

ხელმძღვანელობის სახელით:

ნათია წულუკიძე
დირექტორი

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

9. ძირითადი საშუალებები

ობიექტის დასახელება	დაუმთავრებელი მშენებლობა	საოფისე ინვენტარი	მანქანა-დანადგარები	ელექტრო მოწყობილობა	სხვადასხვა მასალა	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი	6	2 857	49 055	10 045	3 266	16 433	23 000	79 575	249 938	1 222	435 397
შემოსვლა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	(6)	(276)	-	(869)	(197)	(545)	(156)	-	-	-	(2 049)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	-	2 581	49 055	9 176	3 069	15 888	22 844	79 575	249 938	1 222	433 348
შემოსვლა	-	-	-	-	-	2 964	-	19 972	-	-	22 937
გასვლა	-	(102)	-	-	-	-	-	-	-	-	(102)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	-	2 480	49 055	9 176	3 069	18 852	22 844	99 548	249 938	1 222	456 183
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება											
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი	-	893	18 442	5 205	1 154	7 361	11 945	37 217	57 359	825	140 402
მიმდინარე წლის ცვეთა	-	243	3 587	1 756	452	2 494	1 644	8 089	28 887	153	47 304
ცვეთის ამობრუნება	-	(43)	-	(456)	(98)	(231)	(75)	-	-	-	(904)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	-	1 093	22 029	6 505	1 508	9 624	13 514	45 306	86 246	978	186 802
მიმდინარე წლის ცვეთა	-	198	3 587	1 283	452	2 450	1 506	8 089	24 554	153	42 271
ცვეთის ამობრუნება	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	-	1 290	25 615	7 788	1 960	12 075	15 020	53 395	110 800	1 130	229 073
საბალანსო ღირებულება 2021	6	1 964	30 612	4 840	2 112	9 071	11 055	42 359	192 579	397	294 995
საბალანსო ღირებულება 2022	-	1 489	27 026	2 671	1 561	6 264	9 330	34 270	163 692	244	246 547
საბალანსო ღირებულება 2023	-	1 189	23 439	1 388	1 109	6 778	7 824	46 153	139 138	92	227 110

ხელმძღვანელობის სახელით:

ნათია წულუკიძე
დირექტორი

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შემენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ელემენტი:

- მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო (ა) გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;
- (ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;
- (გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება,

რისი ვალ-დებულებაც საწარმომ აიღო შემენის მომენტში, ან შემდეგში.

ვინაიდან მოსალოდნელია, რომ აქტივების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

შენიშვნა 10. მარაგები

დასახელება	31,12,2023	31,12,2022
საქონელი	256 004	280 457
სხვა სასაქონლო მარაგები	-	-
ჯამი	256 004	280 457
პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულება	5142458	5 978 137

სასაქონლო-მატერიალური მარაგები მიღება აღიარებულია შემენის თვითღირებულებით, გასვლა აღიარებულია საშუალო შეწონილი(MIDL) მეთოდით.

შენიშვნა 11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31,12,2023	31.12.2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	501 126	520 134
მოთხოვნები ბანკებიდან	(2 047)	1 040
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	-	84 903
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1 257	6 871
ჯამი	500 336	612 948

შენიშვნა 12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	31,12,2023	31.12.2022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	166 041	88 751
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	27 759	75 853
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკი	15 566	5 643
ჯამი	209 366	170 247

ხელმძღვანელობის სახელით:

ნათია წულუკიძე
დირექტორი

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

ფული საბანკო ანგარიშზე - უცხოურ ვალუტაში წლის ბოლოს არსებული ნაშთი გადაანგარიშებულია შესაბამისი ეროვნული ბანკის კურსით. კომპანიის ფულადი სახსრების გამოყენებაზე არ არსებობს რაიმე შეზღუდვა.

შენიშვნა 13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31,12,2023	31.12.2022
მოწო.და მომსა.წარმოქმნილი ვალდებულებები	306 069	495 354
მიღებული ავანსები	9 599	11 448
გადასახდელი ხელფასები	2 966	39
ჯამი	318634	506842

შენიშვნა 14. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები					
დასახელება	ვალუტა	31,12,2023	31,12,2023	31,12,2022	31,12,2022
		ვალუტა	ექვივალენტი	ვალუტა	ექვივალენტი
საქართველოს ბანკი (საკრედიტო ხაზი) N7642472	USD	102949	276870	96136	259759
ჯამი		102 949	276 870	96 136	259 759

შენიშვნა 15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიაში მნიშვნელოვანი მოვლენები არ განხორციელებულა

შენიშვნა 16. დაკავშირებული მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

ხელმძღვანელობის სახელით:

ნათია წულუკიძე
დირექტორი

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ

	2023 წ	2022 წ
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურების (კომპენსაციის) მთლიანი თანხა	27174	46747

შენიშვნა 17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 25 თებერვალს.

ხელმძღვანელობის სახელით:

ნათია წულუკიძე
დირექტორი

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

„ნინიმა“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ქ. ბათუმი

2025

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ნინიმა“

სარჩევი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	8-17
შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია	8
შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები	8
შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა	8
შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები.....	12
შენიშვნა 5. ამონაგები	12
შენიშვნა 6. სხვა შემოსავლები	13
შენიშვნა 7. სხვა ზოგადი და ადმინისტრაციულ ხარჯები	13
შენიშვნა 8. ფინანსური ხარჯები	13
შენიშვნა 9. ძირითადი საშუალებები	14
შენიშვნა 10. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	15
შენიშვნა 11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15
შენიშვნა 12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	15
შენიშვნა 13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16
შენიშვნა 14. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	16
შენიშვნა 15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები	16
შენიშვნა 16. დაკავშირებული მხარეთა ოპერაციები	17
შენიშვნა 17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	17

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ნინიმა“

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ნინიმა“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალის ცვლილებას ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.
- ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:
- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას.
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ **2025 წლის 25 თებერვალს**.

ხელმძღვანელობის სახელით:


ნათია წულუკიძე

დირექტორი

2025 წლის 25 თებერვალი


ბათუმი, საქართველო

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ნიშიმა"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31,12,2023	31,12,2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	227019	246302
არამატერიალური აქტივები	9	92	244
სულ გრძელვადიანი აქტივები		227 110	246 547
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	10	256004	280457
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	11	500336	612948
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	12	209366	170247
სხვა მიმდინარე აქტივები		12752	29564
სულ მიმდინარე აქტივები		978 458	1 093 216
სულ აქტივები:		1 205 568	1 339 762
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		28824	28824
გაუნაწილებელი მოგება_ზარალი		581239	544338
რეზერვები			
სულ საკუთარი კაპიტალი		610 063	573 162
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სასესხო ვალდებულებები	14	276870	259759
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		276 870	259 759
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	13	318634	506842
ვალდებულებები პერსონალის წინაშე		0	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		318 634	506 842
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1 205 568	1 339 762

ხელმძღვანელობის სახელით:


ბათია ჯულუპიძე
დირექტორი

2023 წლის 25 თებერვალი
ბათუმი, საქართველო



გიორგი ჯაფარიძე
ბუღალტერი

8-18 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ნინია"

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	შენიშვნები	31,12,2023	31,12,2022
ამონაგები	5	5572839	6434217
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(5 142 458)	(5 978 137)
საწყისი ნაშტი		280 457	237 883
შემენილი ნედლეული და მასალები		(5 166 912)	(5 935 563)
საბოლოო ნაშტი		(256 004)	(280 457)
საოპერაციო მოგება		430 381	456 080
სხვა შემოსავლები	6	6105	42602
დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები		(135 765)	(133 628)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(42 373)	(47 406)
კომერციული ხარჯები		-	-
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(93 849)	(108 009)
ფინანსური ხარჯები	8	(18 925)	(21 078)
მოგება დაბეგვრამდე		145 573	188 562
მოგების გადასახადი		(9 579)	(20 801)
საანგარიშო წლის მოგება		135 994	167 761

ხელმძღვანელობის სახელით:

ნათია წულუკიძე
დირექტორი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

8-18 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ნინიმა"


კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
31.დეკ.21	28 824	493 472	522 296
გაცემული დივიდენდები		(116 895)	(116 895)
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში		167 761	167 761
კაპიტალის ზრდა/კლება			-
31.დეკ.22	28 824	544 338	573 162
გაცემული დივიდენდები		(99 093)	(99 093)
მოგება/ზარალი წლის განმავლობაში		135 994	135 994
კაპიტალის ზრდა/კლება			
31.დეკ.23	28 824	581 239	610 063

ხელმძღვანელობის სახელით:


ნათია წულუკიძე
დირექტორი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო


გიორგი ჯაფარიძე
ბუღალტერი


8-18 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება "ნინიმა"


ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

	2023 წელი	2022 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტებისგან მიღებული ფულადი სახსრები	6 572 473	7 502 978
მომწოდებლებზე და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(6 338 448)	(7 276 707)
გადახდილი გადასახადები	(122 065)	(135 003)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	111 960	91 268
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
გაცემული დივიდენდები	(80 017)	(111 050)
მიღებული სესხები	289 521	362 738
გადახდილი სესხები	(267 556)	(265 705)
გადახდილი პროცენტები	(15 712)	(17 261)
კურსთაშორის სხვაობის გავლენა	924	(1 870)
კაპიტალის ზრდა/(შემცირება)		-
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	(72 840)	(33 148)
წმინდა ფულის ზრდა / (შემცირება)	39 120	58 120
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	170 247	112 127
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	209 366	170 247

ხელმძღვანელობის სახელით:


ნათია წულუკიძე
დირექტორი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო


გიორგი ჯაფარიძე
ბუღალტერი

8-18 გვერდებზე მოცემული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შენიშვნა 1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ნინიმა“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში მარეგისტრირებელი ორგანოს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. საწარმოს იურიდიული და ფაქტობრივი მისამართია საქართველო ბათუმი ა სანიძის ქ N39 საწარმოს საინდიფიკაციო კოდია **445514051**. საწარმო დაფუძნებულია ფიზიკური პირების : გურქან ჩავუშოდლე - 25%, ასლიფინარ ჩავუშოდლე - 25%, ნათია წულუკიძეს - 50% -მიერ.

საწარმოს: ძირითადი საქმიანობაა ნავთობროდუქტებით ვაჭრობა.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითად ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

შენიშვნა 2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

(ა) შესაბამისობის დეკლარაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2023 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

(გ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობამ აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, დადებითი საოპერაციო ფულადი ნაკადები, მიმდინარე გეგმები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივ თუ საერთაშორისო ფინანსურ რესურსებთან წვდომის შესაძლებლობა. არსებული ეკონომიკური მდგომარეობიდან სამომავლო შედეგების პროგნოზირება რთულია, მაგრამ კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

შენიშვნა 3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ამონაგების აღიარება

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. იგი არ მოიცავს გაცემულ ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდის და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა.

საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

მომსახურების გაწევის ამონაგები აღიარდება მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების გაწევის შედეგის საიმედოდ შეფასება. სხვა შემთხვევაში ამონაგები აღიარდება მხოლოდ უკვე აღიარებული ანაზღაურებადი ხარჯების ოდენობის ფარგლებში.

სავაჭრო მოთხოვნები

ხელმძღვანელობის სახელით:

ნათია წულუკიძე
დირექტორი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

მომხმარებელზე მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ პირისგან მისაღები ფულადი სახსრების არადისკონტირებული ღირებულებით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

მომხმარებელზე ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით უპროცენტო კრედიტით საქონლის/მომსახურების მიყიდვიდან წარმოქმნილი მოთხოვნა აღიარდება ამ საქონლის ნაღდი ანგარიშსწორებით გასაყიდი მიმდინარე ფასით და საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების (თანხის ამოღების შეუძლებლობა) გათვალისწინებით.

სავაჭრო ვალდებულებები

მომწოდებლისგან მოკლევადიანი საკრედიტო პირობებით საქონლის/მომსახურების შეძენიდან წარმოშობილი ვალდებულება აღიარდება მომწოდებლისთვის გადასახდელი დავალიანების არადისკონტირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გამოსახულ მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც გამოწვეულია სავალუტო კურსის ცვლილებით, აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალის შეფასება

ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. როდესაც ფინანსურ აქტივს გააჩნია ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტირების განაკვეთი გაუფასურების ზარალის შეფასებისთვის გამოიყენება ხელშეკრულების მიხედვით განსაზღვრული მიმდინარე ეფექტური საპროცენტო განაკვეთი.

ფინანსური აქტივისთვის, რომელიც შეფასებულია თვითღირებულებიდან გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით, გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და იმ თანხის საუკეთესო შეფასებას (რომელიც აუცილებლად იქნება მიახლოებითი სიდიდე) შორის, რომელსაც საწარმო მიიღებდა მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში აქტივის გაყიდვის შემთხვევაში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების მისი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	5%
მანქანა-დანადგარები	15%-20%
ოფისის აღჭურვილობა	15%-20%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%
სახვა ძირითადი საშუალებები	15%-20%

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა 15%

ხელმძღვანელობის სახელით:

ნათია წულუკიძე
დირექტორი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი (სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის) აღიარდება პერიოდის მოგებაში ან ზარალში და კლასიფიცირდება სხვა შემოსავლის ან სხვა ხარჯის სახით.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივის შეფასება ხდება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივებს, ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე განაწილების მიზნით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში ერიცხებათ ამორტიზაცია წრფივი მეთოდით. ამორტიზაციის დასარიცხად გამოიყენება წლიური განაკვეთი 15 პროცენტი.

თუ არსებობს არამატერიალური აქტივის ნარჩენი ღირებულების ან მისი სასარგებლო მომსახურების ვადის შეცვლის რაიმე ნიშნები, აქტივის ნარჩენი ღირებულების, ამორტიზაციის მეთოდის ან სასარგებლო მომსახურების ვადის ცვლილება შესწორდება პერსპექტიულად.

მარაგი

მარაგის შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის ღირებულების შემცირების თანხა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს და დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის მარაგის შეფასების დროს თუ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, მოხდება გაუფასურების თანხის აღდგენა (უკუგაბრუნება) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

გახარჯული მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისთვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულა.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას საწარმოსათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც საწარმოს აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ხელმძღვანელობის სახელით:

ნათია ჩულუკიძე
დირექტორი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (მარაგის შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა ყველა სახის მოკლევადიან გასამრჯელოსთან დაკავშირებული დანახარჯი, რომლის მიღების უფლებაც დაქირავებულმა პირებმა მოიპოვეს საანგარიშგებო პერიოდში გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, აღიარდება როგორც ვალდებულება და როგორც ხარჯი (გარდა იმ დანახარჯისა, რომელიც აღიარდება მარაგის, ძირითადი საშუალებების ან სხვა აქტივის თვითღირებულებაში).

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს მიერ მოკლევადიანი გასამრჯელოს სახით აღიარებული თანხები ფასდება დაქირავებული პირის იმ მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული სიდიდით, რომელიც გადასახდელია დაქირავებულის მიერ გაწეული ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ.

დაგროვებადი ანაზღაურებადი შევებულებების მოსალოდნელი ღირებულება ფასდება, როგორც არადისკონტირებული დამატებითი თანხა, რომლის გადახდასაც საწარმო ვარაუდობს იმ გამოუყენებელი უფლებისათვის, რომელიც დაგროვდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში


უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარებისას აისახება სამუშაო ვალუტით, რისთვისაც უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხის მიმართ გამოიყენება უცხოური ვალუტის სამუშაო ვალუტაზე გასაცვლელი სპოტ სავალუტო კურსი, ოპერაციის თარიღისათვის.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებული ფულადი მუხლები ფასდება საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

ხელმძღვანელობის სახელით:

ნათია წულუკიძე
დირექტორი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო



გიორგი ჯავახიშვილი
ბუღალტერი

საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულადი მუხლების საბოლოო ანგარიშსწორების ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში ან წინა პერიოდების ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარების დროს გადასაცემად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა

მოგების გადასახადი

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება (აქტივი) ფასდება იმ თანხით, რომლის გადახდა (ანაზღაურება) მოსალოდნელია საანგარიშგებო თარიღისთვის ძალაში შესული საქართველოს საგადასახადო კოდექსით (სსკ) განსაზღვრული საგადასახადო განაკვეთისა დაბეგვრის პრინციპების გათვალისწინებით.

სსკ-ის მიხედვით საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია: განაწილებული მოგება; გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის; უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა; კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი, დივიდენდის სახით განაწილებული მოგების გარდა, იბეგრება დაბეგვრის ობიექტის წარმოშობისთანავე და საგადასახადო ვალდებულება აღიარდება ყოველი საანგარიშგებო თვის ბოლოს. საწარმოს მიერ მის პარტნიორზე დივიდენდის სახით გასანაწილებელ დივიდენდთან დაკავშირებული მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ფასდება გაუნაწილებელი მოგების მიმართ გამოსაყენებელი საგადასახადო განაკვეთით მანამ, სანამ საწარმო აღიარებს დივიდენდების გადახდის ვალდებულებას.

შენიშვნა 4. ძირითადი დაშვებები და განუსაზღვრელობის შესაფასებლად გამოყენებული ძირითადი წყაროები


ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების და საანგარიშო პერიოდში წარმოქმნილი შემოსავლებისა და ხარჯების თანხებზე. მიუხედავად იმისა რომ ეს შეფასებები ეყრდნობა მენეჯმენტის მხრიდან არსებული მოვლენების ცოდნას, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა საბოლოო ჯამში განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან.

შენიშვნა 5. ამონაგები	31.12.2023	31.12.2022
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	5572839	6434217
ჯამი	5572839	6434217

ხელმძღვანელობის სახელით:

ნათია წულუკიძე
დირექტორი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო



გიორგი ჯაფარიძე
ბუღალტერი

შენიშვნა 6. სხვა შემოსავლები	31.12.2023	31.12.2022
სხვა შემოსავალი (საშემოსავლო)	0	0
კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული შემოსავალი	5255	37198
სხვა შემოსავალი	850	5404
ჯამი	6105	42602

შენიშვნა 7. სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	31.12.2023	31.12.2022
ბანკის საკომისიო	29399	20799
საკანცელარიო ხარჯი	906	1602
კომუნიკაციის ხარჯები	3403	4040
კომუნალური ხარჯი	11796	13795
საბუღალტრო მომსახურება	12000	10800
სოციალური დანარიცხები	2855	2737
საკონსულტაციო ხარჯი	6432	0
საიჯარო ქირა	15000	15000
სხვა საგადასახადო ხარჯი	0	0
ძირითად საშუალებების საექსპლუატაციო ხარჯები	62	5487
დაზღვევა	5649	3931
საოფისე ხარჯი	343	1029
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	0	106
სხვადასხვა წვრილმანი ხარჯები	6003	28681
ჯამი	93849	108009

შენიშვნა 8. ფინანსური ხარჯები	31.12.2023	31.12.2022
საპროცენტო ხარჯები	15712	17261
საპატრულო ჯარიმა	420	0
უარყოფითი საკურსო სხვაობის ხარჯი	2794	3818
ჯამი	18925	21078

ხელმძღვანელობის სახელით:

ნათია წულუკიძე
დირექტორი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

9. ძირითადი საშუალებები

ობიექტის დასახელება	დაუმთავრებელი მშენებლობა	საოფისე ინვენტარი	მანქანა-დანადგარები	ელექტრო მოწყობილობა	სხვადასხვა მასალა	ოფისის აღჭურვილობა	აგეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	ოჯარი ადგილები	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი	6	2 857	49 055	10 045	3 266	16 433	23 000	79 575	249 938	1 222	435 397
შემოსვლა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
გასვლა	(6)	(276)	-	(869)	(197)	(545)	(156)	-	-	-	(2 049)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	-	2 581	49 055	9 176	3 069	15 888	22 844	79 575	249 938	1 222	433 348
შემოსვლა	-	-	-	-	-	2 964	-	19 972	-	-	22 937
გასვლა	-	(102)	-	-	-	-	-	-	-	-	(102)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	-	2 480	49 055	9 176	3 069	18 852	22 844	99 548	249 938	1 222	456 183
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება											
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი	-	893	18 442	5 205	1 154	7 361	11 945	37 217	57 359	825	140 402
მიმდინარე წლის ცვეთა	-	243	3 587	1 756	452	2 494	1 644	8 089	28 887	153	47 304
ცვეთის ამობრუნება	-	(43)	-	(456)	(98)	(231)	(75)	-	-	-	(904)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	-	1 093	22 029	6 505	1 508	9 624	13 514	45 306	86 246	978	186 802
მიმდინარე წლის ცვეთა	-	198	3 587	1 283	452	2 450	1 506	8 089	24 554	153	42 271
ცვეთის ამობრუნება	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	-	1 290	25 615	7 788	1 960	12 075	15 020	53 395	110 800	1 130	229 073
საბალანსო ღირებულება 2021	6	1 964	30 612	4 840	2 112	9 071	11 055	42 359	192 579	397	294 995
საბალანსო ღირებულება 2022	-	1 489	27 026	2 671	1 561	6 264	9 330	34 270	163 692	244	246 547
საბალანსო ღირებულება 2023	-	1 189	23 439	1 388	1 109	6 778	7 824	46 153	139 138	92	227 110

ხელმძღვანელობის სახელით:

ნათია წულუკიძე
დირექტორი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ელემენტი:

- მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო (ა) გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;
- ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან;
- აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება,

რისი ვალ-დებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

ვინაიდან მოსალოდნელია, რომ აქტივების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივისა და მასთან დაკავშირებული ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.

შენიშვნა 10. მარაგები			
	დასახელება	31,12,2023	31,12,2022
საქონელი		256 004	280 457
სხვა სასაქონლო მარაგები		-	-
	ჯამი	256 004	280 457
	პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულება	5142458	5 978 137

სასაქონლო-მატერიალური მარაგები მიღება აღიარებულია შეძენის თვითღირებულებით, გასვლა აღიარებულია საშუალო შეწონილი(MIDL) მეთოდით.


შენიშვნა 11. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		
	31,12,2023	31.12.2022
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	501 126	520 134
მოთხოვნები ბანკებიდან	(2 047)	1 040
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	-	84 903
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	1 257	6 871
ჯამი	500 336	612 948

შენიშვნა 12. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები		
	31,12,2023	31.12.2022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	166 041	88 751
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	27 759	75 853
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკი	15 566	5 643
ჯამი	209 366	170 247

ხელმძღვანელობის სახელით:

ნათია წულუკიძე
დირექტორი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო



გიორგი ჯაფარიძე
ბუღალტერი

ფული საბანკო ანგარიშზე - უცხოურ ვალუტაში წლის ბოლოს არსებული ნაშთი გადაანგარიშებულია შესაბამისი ეროვნული ბანკის კურსით. კომპანიის ფულადი სახსრების გამოყენებაზე არ არსებობს რაიმე შეზღუდვა.

შენიშვნა 13. საგაჭრო და სხვა ვალდებულებები	31,12,2023	31.12.2022
მოწო.და მომსა.წარმოქმნილი ვალდებულებები	306 069	495 354
მიღებული ავანსები	9 599	11 448
გადასახდელი ხელფასები	2 966	39
ჯამი	318634	506842

შენიშვნა 14. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები					
დასახელება	ვალუტა	31,12,2023	31,12,2023	31,12,2022	31,12,2022
		ვალუტა	ექვივალენტი	ვალუტა	ექვივალენტი
საქართველოს ბანკი (საკრედიტო ხაზი) N7642472	USD	102949	276870	96136	259759
ჯამი		102 949	276 870	96 136	259 759

შენიშვნა 15. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიაში მნიშვნელოვანი მოვლენები არ განხორციელებულა

შენიშვნა 16. დაკავშირებული მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;


(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;

(გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

ხელმძღვანელობის სახელით:

ნათია წულუკიძე
დირექტორი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო



გიორგი ჯაფარიძე
ბუღალტერი

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ

უმაღლესი რანგის ხელ-მძღვანელი პირების ანაზღაურების
(კომპენსაციის) მთლიანი თანხა

2023 წ
27174

2022 წ
46747

შენიშვნა 17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 25 თებერვალს.

ხელმძღვანელობის სახელით:

ნათია წულუკიძე
დირექტორი

2025 წლის 25 თებერვალი
თბილისი, საქართველო

გოჩა ჯაფარიძე
ბუღალტერი